დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი

წევრები:

ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ირმა შალიკიანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკოლოზ გურგენიძე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ინგა გოგალაძე უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ეკა მოსიაშვილი ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
დავით ხუციშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ციცინო გობაძე სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნანი სალია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი კოპლატაძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა ნატროშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373619

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდინეძი
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდი, სოფელი დიდინეძი, აღმაშენებლის N1
საფოსტო ინდექსი	2141
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის ვებ გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	didinedzi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577177379

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 26 0000403274
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7 და 8 მაისი, 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი დიდინეძი, აღმაშენებლის N1 (ერთი შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი დიდინეძი, აღმაშენებლის N1 (ერთი შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი დიდინეძი, აღმაშენებლის N1 (ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 7 და 8 მაისს - სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით “განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა - ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.
სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა კეთილგანწყობა. სკოლა დატვირთული რეჟიმით მუშაობს, სკოლა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, თბილი, მზრუნველობითი, ერთმუჭად შეკრული სასკოლო საზოგადოების ერთობა, რაც სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
სკოლის თანამშრომლები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიული ეთიკით და პასუხისმგებლობის მაღალი დონით.
ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებელს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.
ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით).
ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.
სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-	-	-

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 180	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
-	-	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,	1. სკოლამ, შესაბამოსობის გეგმაში გაწერილი თარიღების ვადაში (2026-2027 იანვარი, შესაბამისობის გეგმაში ჩაასწოროს ტექნიკური ხარვეზი წელთან მიმართებით), მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	2. სკოლამ, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების ვადაში (2026 4 ივნისი - 2027 30 მაისი), უზრუველყო სკოლის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა.
3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2028 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულის ადაპტაცია.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
-	-	-

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
-	-	-

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
-	-	-
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,**	**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

	სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში ჰქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი იქნას წარმოდგენილი ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითი შედარებისთვის და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ გაგებაში. დაწყებით და საბაზო სწავლების საფეხურზე მუსიკაში გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა პირველ,მეორე,მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასში, ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე პირველ, მეორე, მესამე და მეექვსე კლასში. საბაზო საფეხურზე ხელოვნებაში კომპლექსური დავალებების

		პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას. **სახელმწიფო ენა** სასურველია სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც საერთო იქნება ყველა საფეხურისა და ყველა კლასისათვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ,სკოლამ კათედრაზე თითოეულ საგანში შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც საერთო იქნება ყველა კლასისათვის.
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულს ჰქონდეს სვეტი კონტექსტ-მაგალითისათვის, სადაც შეტანილი იქნება კონტექტმაგალითები ლაკონურად და ზუსტად.
2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**ესთეტიკური აღზრდა** სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები. კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების, თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის სვეტში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები** სკოლას მიეცა რჩევა გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (code.org და codemonkey.com/) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კათედრაზე მასწავლებლებმა გაითვალისწინოთ ერთმანეთის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სანიმუშო ფორმები და შექმენით კონკრეტული თემის, ძირითადი საკითხის ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერთ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში-რა უნდა

		შეძლოს მოსწავლემ, შესაბამისი მაქსიმალური ქულით და კომენტარით(საჭიროების შემთხვევაში); ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც: თემა/ძირითადი საკითხი/სამიზნე ცნება/ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებითა და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით (მოლოდინები). იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით.
2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას.
2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები** სასურველია, გამოყენებული იქნას დამატებით ელექტრონული რესურსები.
2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და იყენებენ.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში ჰქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი იქნას წარმოდგენილი ინტეგრირებულად

		სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითი შედარებისთვის და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ გაგებაში. დაწყებით და საბაზო სწავლების საფეხურზე მუსიკაში გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა პირველ,მეორე,მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასში, ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე პირველ, მეორე, მესამე და მეექვსე კლასში. საბაზო საფეხურზე ხელოვნებაში კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას. **სახელმწიფო ენა** სასურველია სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც საერთო იქნება ყველა საფეხურისა და ყველა კლასისათვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ,სკოლამ კათედრაზე თითოეულ საგანში შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც საერთო იქნება ყველა კლასისათვის.
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულს ჰქონდეს სვეტი კონტექსტ-მაგალითისათვის, სადაც შეტანილი იქნება კონტექტმაგალითები ლაკონურად და ზუსტად.
2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**ესთეტიკური აღზრდა** სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები. კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების, თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის სვეტში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები**

		სკოლას მიეცა რჩევა გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (code.org და codemonkey.com/) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კათედრაზე მასწავლებლებმა გაითვალისწინოთ ერთმანეთის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სანიმუშო ფორმები და შექმენით კონკრეტული თემის, ძირითადი საკითხის ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერთ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში-რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, შესაბამისი მაქსიმალური ქულით და კომენტარით(საჭიროების შემთხვევაში); ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც: თემა/ძირითადი საკითხი/სამიზნე ცნება/ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებითა და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით (მოლოდინები). იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით.
2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას.
2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები** სასურველია, გამოყენებული იქნას დამატებით ელექტრონული რესურსები.
2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და იყენებენ. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, ცდებისთვის საჭირო ნივთიერებებისა და ლაბორატორიული მასალების მარაგის მუდმივი და დროული შევსება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სამუშაოებისა და ექსპერიმენტების შეუფერხებლად ჩატარება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*

2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში ჰქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი იქნას წარმოდგენილი ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითი შედარებისთვის და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას. **სახელმწიფო ენა** სასურველია სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც საერთო იქნება ყველა საფეხურისა და ყველა კლასისათვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ,სკოლამ კათედრაზე თითოეულ საგანში შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც საერთო იქნება ყველა კლასისათვის.
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ესთეტიკური აღზრდა** მე-10 კლასში მუსიკაში პროექტული სწავლებისას საჭიროა თითოეულ თემაში მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები, მათ შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, გაითვალისწინონ საფეხურის საკვანძო კითხვები და საფეხურის მკვიდრი წარმოდგენები. **სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულს ჰქონდეს სვეტი კონტექსტ-მაგალითისათვის, სადაც შეტანილი იქნება კონტექტმაგალითები ლაკონურად და ზუსტად.
2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო**	**ესთეტიკური აღზრდა** სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები. კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების, თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის სვეტში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები** სკოლას მიეცა რჩევა გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (code.org და codemonkey.com/) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კათედრაზე მასწავლებლებმა გაითვალისწინოთ ერთმანეთის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სანიმუშო ფორმები და შექმენით კონკრეტული თემის, ძირითადი საკითხის ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერთ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში-რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, შესაბამისი მაქსიმალური ქულით და კომენტარით(საჭიროების შემთხვევაში); ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც: თემა/ძირითადი საკითხი/სამიზნე ცნება/ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებითა და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით (მოლოდინები). იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით.
2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას.
2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**სახელმწიფო ენა** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **ტექნოლოგიები** სასურველია, გამოყენებული იქნას დამატებით ელექტრონული რესურსები.
2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,**	**სახელმწიფო ენა** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და იყენებენ. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასურველია, ცდებისთვის საჭირო ნივთიერებებისა და ლაბორატორიული მასალების მარაგის მუდმივი და დროული შევსება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სამუშაოებისა და ექსპერიმენტების შეუფერხებლად ჩატარება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 7 და 8 მაისს - სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინების საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით "განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,ადგილზე შეისწავლა არსებული სიტუაციები და წარადგინა დასკვნის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით ავტორზაციის სტანდართან შესაბამისობაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა შემდეგი მიგნება - ხარვეზი. კერძოდ, მესამე სტანდარტის შემთხვევაში, შეუსაბამობა დაფიქსირდა შემდეგ ინდიკატორთან: *3.4.1.1.* სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა - სკოლაში დროს არ არის დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რაც ვერ უზრუნველყოფს მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ შესაბამისობას (სკოლას არ ჰყავს მადატური). შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ, სკოლის მისია ჩამოყალიბებულია როგორც მოკლე, მიზანზე ორიენტირებული განაცხადი, რომელიც ასახავს დაწესებულების ფუნდამენტურ დანიშნულებას. მისია პირდაპირ ორიენტირებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან - „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების“ ჩამოყალიბებაზე. აქცენტი კეთდება „პატრიოტი თაობის აღზრდაზე“, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ეს აჩვენებს, რომ სკოლა საკუთარ როლს ხედავს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაში, არამედ სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ხედვაში გამოყოფილია **პრიორიტეტული მიმართულებები, უსაფრთხოება:** სკოლის სამუშაო პრინციპებში პირველ ადგილზეა „ფიზიკური და ფსიქო-ემოციურად დაცული გარემო“. **სასკოლო თემი:** ღირებულებებში ხაზგასმულია „თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და პასუხისმგებლობის გაზიარება “. **მსოფლმხედველობა:** მისიაში ნახსენები „კრიტიკულად მოაზროვნე “პიროვნების აღზრდა მიუთითებს თანამედროვე, დემოკრატიულ მსოფლმხედველობაზე. **1.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ -სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სასკოლო საზოგადოების წინაშე. კერძოდ, უსაფრთხო სივრცის როლის გააზრება: სკოლის დოკუმენტაციაში უსაფრთხოება დეკლარირებულია არა მხოლოდ როგორც ტექნიკური მოთხოვნა, არამედ როგორც ფუნდამენტური სამუშაო პრინციპი. სკოლა აცხადებს, რომ მათთვის „უმნიშვნელოვანესია ფიზიკური და ფსიქო-ემოციურად დაცული გარემო“. ეს ხედვა

გამყარებულია SWOT ანალიზითაც, სადაც სკოლის ერთ-ერთ მთავარ სიძლიერედ სწორედ „პოზიტიური, წამახალისებელი და უსაფრთხო გარემო“ არის დასახელებული.

სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტი ვლინდება სკოლის მისიაში, რომელიც ორიენტირებულია ისეთი თაობის აღზრდაზე, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობები „ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე “. სკოლა, როგორც სოციალური სივრცე, ეფუძნება „თანამშრომლობითი კულტურის დანერგვასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას “, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ ინტეგრაციასა და მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ხედვა მიზნად ისახავს „ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული იდენტობის მოქალაქის“ აღზრდას, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში. აღნიშნული ღირებულებები ქმნის ტოლერანტულ და მრავალფეროვან გარემოს, სადაც კულტურული ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტია. და ბოლოს, სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სივრცეს, სადაც ხდება „თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება“. სტრატეგიული ამოცანები მიმართულია მოსწავლეთა „შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარებისკენ“, რაც გულისხმობს მათ აღჭურვას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. **1.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლაში შექმნილია სკოლის მისსის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედის: სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, თვითმმართველობის თავჯდომარე, თემის წარმომადგენელი და მშობელი. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აღნიშნული ჯგუფის შეხვედრის ოქმი (11.06.2024 ოქმი N1), რომლის ანალიზისას გამოიკვეთა სკოლის ფილოსოფიაზე მუშაობა. ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი სისტემატურად მუშაობს სკოლის სტრატეგიულ მიმართულებებზე, რის შემდეგაც შემუშავებული საკითხები განიხილება და ზიარდება პედაგოგიურ საბჭოზე, კათედრების შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობასა და ინფორმირებულობას.

სკოლამ ასევე უზრუნველყო სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის — მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის — სპეციალურად შემუშავებული Google Forms-ის კითხვარების გამოყენება. კითხვარები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, სასწავლო-საგანმანათლებლო გარემოს შეფასება, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.

კითხვარები გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოებასთან Google Forms-ის პლატფორმის საშუალებით, რაც უზრუნველყოფდა მონაწილეობის გამჭვირვალე აღრიცხვასა და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. გამოკითხვის დასრულების შემდეგ სკოლამ გააანალიზა მიღებული მონაცემები, გამოავლინა ძირითადი ტენდენციები, საჭიროებები და გამოწვევები, რაც გამოიყენა როგორც მიმდინარე საქმიანობის გაუმჯობესების, და გამოიყენებს სამომავლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით. **1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლაში, საინფორმაციო დაფაზე, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. **1.1.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 და №194 ბრძანებებით განსაზღვრულ რეგულაციებს. სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლა. **1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის ოქმები მისიაზე
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2024-2030
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N4 - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმები
- კითხვარი მოსწავლისათვის
- მშობელთა კრების ოქმები
- მომავლის სკოლა'' მოსწავლის ხედვით
- მისია, ხედვა, ღირებულებები
- დიდინეძის საჯარო სკოლის წესდება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს „ სკოლის მისიის ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვისა, მონიტირინგისა და შეფასების წესი“, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, მისი ეტაპები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები, სამუშაო ჯგუფის ფორმირების წესი, მონაწილე მხარეები და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები. მეთოდოლოგია ეფუძნება თანამონაწილეობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ინკლუზიურ და სისტემურ ხასიათს. დოკუმენტი ადასტურებს, რომ სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში აქტიურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების — ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, სამეურვეო საბჭოსა და თემის წარმომადგენლების — პრიორიტეტებსა და საჭიროებებს. ამ მიზნით განსაზღვრულია ჩართულობისა და ინფორმაციის გაზიარების მრავალფეროვანი მექანიზმები, მათ შორის: სამუშაო ჯგუფები, საჯარო განხილვები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, ელექტრონული კომუნიკაცია, ვებგვერდი და სოციალური მედია. მეთოდოლოგიაში ასევე აღწერილია ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის მიღებითა და არსებული მონაცემების, კვლევების, სტატისტიკური მაჩვენებლებისა და

თვითშეფასების შედეგების ანალიზით. სკოლა იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების სისტემურ შეფასებას.

დოკუმენტში ასევე გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, ანგარიშგების ფორმები, უკუკავშირის გათვალისწინების პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში გეგმებში ცვლილებების შეტანის წესი. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა სტრატეგიულ და სამოქმედო დაგეგმვას განიხილავს როგორც უწყვეტ, ანალიტიკურ და განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. **1.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტი **შესაბამისობაშია** დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ, სტრატეგიული გეგმა არის შვიდლიანი და შესაბამის ცხრილში გაწერილია ქტივობები 2024 წლიდან 2030 წლის ჩათვლით.

სტრატეგიული გეგმის ციკლურობა გამოიხატება იმაში, რომ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ობიექტური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიული განვითარების გეგმის **გადახედვა გარკვეული პერიოდულობით**. გარდა ამისა, განსაზღვრულია მონიტორინგის ციკლი: **შუალედური შეფასება** ტარდება ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო **შემაჯამებელი შეფასება** — ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე. სტრატეგიული მიზნების შესაბამისობა სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან გამოიხატება, იმაში, რომ დოკუმენტსი გაწეილია სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები). ამასთანავე, სტრატეგიული მიზნები პირდაპირ გამომდინარეობს მისიიდან. მაგალითად, მიზანი — „აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მქონე თავისუფალი და პასუხისმგებელი მოქალაქე“— სრულ თანხვედრაშია სკოლის დეკლარირებულ მისიასთან.

დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ექვსი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება (მიზანი), რომლებიც გრძელვადიან ორიენტირებს წარმოადგენს (მაგ: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, ინფრასტრუქტურის განვითარება) და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები. მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნის ქვეშ ამოცანებად დასახულია სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და კომპიუტერული ლაბორატორიის შევსება. **1.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმას საფუძვლად უდევს გასული 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში. 2025-2026 სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრუქტურებულ და სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტრირებულ დოკუმენტს. სამოქმედო გეგმაში აქტივობები წარმოდგენილია თვეების მიხედვით (სექტემბერი-აგვისტო), რაც უზრუნველყოფს პროცესების ეტაპობრივ დაგეგმვასა და შესრულების

მონიტორინგს. სამოქმედო გეგმა მკაფიო კავშირშია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, სკოლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. დოკუმენტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და მასში ასახულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და განხორციელების ვადები. გეგმის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ აქტივობები მიზანმიმართულად ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერება და ორგანიზაციული განვითარება. თითოეულ მიმართულებაში განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები, შესრულების მტკიცებულებები და მონიტორინგის ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს გეგმის განხორციელების გაზომვადობასა და ანგარიშვალდებულებას.

სამოქმედო გეგმაში ასევე იკვეთება თვითშეფასებისა და კვლევების შედეგების გათვალისწინება. გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავებას, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების პერიოდულ გამოკითხვას, მიღებული შედეგების ანალიზს, აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, დიაგნოსტიკური წერების ჩატარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს არსებული გამოწვევების ანალიზს და გეგმავს შესაბამის რეაგირების მექანიზმებს. **1.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოირჩევა სისტემურობითა და დეტალიზაციით თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, საჭირო რესურსები, შესრულების ვადები და მტკიცებულებები, რაც ხელს უწყობს გეგმის ეფექტიან განხორციელებასა და მონიტორინგს. სამოქმედო გეგმაში ასევე მოცემულია შესრულების ინდიკატორები/მტკიცებულებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია განხორციელებული აქტივობების შეფასება და დადასტურება. ინდიკატორებად გამოყენებულია, მაგალითად: ოქმები, ანგარიშები, კითხვარების ანალიზი, მონიტორინგის შედეგები, პროექტების დოკუმენტაცია, პორტფოლიოები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნული უზრუნველყოფს აქტივობების შესრულების გაზომვადობასა და მონიტორინგს. გეგმაში აქტივობების განხორციელების ვადები წარმოდგენილია ერთწლიანი პერიოდის ჭრილში, თვეების მიხედვით (სექტემბერი-

აგვისტო), რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას რეალისტური და კონკრეტული ვადების განსაზღვრის შესახებ. **1.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მისიის, სტრატ. ხედვ. მეთოდოლოგია
- სამუშაო ჯგუფის ოქმები მისიაზე
- 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2024-2030
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული „მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა, მონიტირინგისა და შეფასების წესში “, აღწერილია ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის მიღებითა და არსებული მონაცემების, კვლევების, სტატისტიკური მაჩვენებლებისა და თვითშეფასების შედეგების ანალიზით. სკოლა იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების სისტემურ შეფასებას.

დოკუმენტში ასევე გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, ანგარიშგების ფორმები, უკუკავშირის გათვალისწინების პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში გეგმებში ცვლილებების შეტანის წესი. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა სტრატეგიულ და სამოქმედო დაგეგმვას განიხილავს როგორც უწყვეტ, ანალიტიკურ და განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. **1.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ეყდნობოდა 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს. შესაბამისად სკოლა ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს. ამასთანავე, სკოლის

მიერ შემუშავებული „მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა, მონიტირინგისა და შეფასების წესში “, აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. **1.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ შემუშავებული „მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა, მონიტირინგისა და შეფასების წესი“ითვალისწინებს მიღებული შედეგების გაზიარებისა და გასაჯაროების მექანიზმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მონიტორინგის განხორციელებისთანავე უზრუნველყოფილი იქნება შედეგების გასაჯაროება. **1.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს სკოლა იყენებს მომავალი საქმიანობის დასაგეგმად, ასევე სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს შედეგებსაც გამოიყენებს სკოლა საკუთარი საქმიანობის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით. **1.2.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება „მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა, მონიტირინგისა და შეფასების წესი“
- შიდა ხარისხის გაუმჯობესების კონცეფცია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრულია და ასახულია როგორც ორგანოგრამის, ისე სამართლებრივი დოკუმენტების დონეზე. სკოლის სტრუქტურა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდებას, რაც უზრუნველყოფს მისი შესაბამისობას ეროვნულ ნორმატიულ ჩარჩოსთან.

სტრუქტურა მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე ფუნქციურ ერთეულებს: სკოლის დირექციას (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი), ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი), პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის ექიმს.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებებით, შინაგანაწესითა და დირექტორის ინდივიდუალური ბრძანებებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით. დამატებით, დირექტორისა და მასწავლებლის ფუნქციები განსაზღვრულია პროფესიული სტანდარტებითა და ეთიკის კოდექსით, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების ზოგად ჩარჩოს. ცალკე დუკუმენტად არის გაწერილი თანამდებობრივი ინსტრუქციები. **3.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. სკოლაში 2022 წლის 25 ივლისის №2-40 ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირებს თითოეული თანამშრომლის საქმიანობის სფეროს, პასუხისმგებლობებსა და ფუნქციურ მოვალეობებს. აღნიშნული ინსტრუქციები ასევე განსაზღვრული და განმტკიცებულია სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის სისტემის ერთიანობასა და გამჭვირვალობას. **3.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თანამდებობრივი ინსტრუქციები;
ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვის დოკუმენტი;
შინაგანაწესი;
ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითადი პროცესები და მექანიზმები.

დოკუმენტში აღწერილია, რომ თითოეულ სამუშაო პოზიციას თან ახლავს ფუნქციების, მოვალეობებისა და ანგარიშვალდებულებების დეტალური აღწერა (თანამდებრობრივი ინსტრუქციები), რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრასა და საქმიანობის გამჭვირვალობას. ამასთანავე, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

სკოლაში ასევე შემუშავებულია პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. გეგმაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული განვითარების საჭიროებები, განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ასევე მოსალოდნელი შედეგები, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ და მიზნობრივ დაგეგმვაზე. **3.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ასახულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტში განსაზღვრულია მოსალოდნელ რისკებზე რეაგირების მექანიზმები, რათა არ შეფერხდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში მისი ჩანაცვლება ხორციელდება შესაბამისი საგნის სხვა მასწავლებლის მიერ, რომელიც მოცემულ პერიოდში თავისუფალია, რაც პრაქტიკაში გამოყენებულ პრევენციულ მექანიზმს წარმოადგენს.

ამასთან, სკოლას აღნიშნული მიმართულებით შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოფს გეგმის შესრულების მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს პერსონალის მართვის პროცესების უწყვეტობასა და ეფექტიანობას. **3.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცედურები რეგულირდება წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკითა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით. შერჩევის პროცესში დაცულია ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპები, კანდიდატებისთვის წინასწარ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების ვადები. პერსონალის დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებით. ასევე, სკოლაში მოწესრიგებულია თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება და დაცულია ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის არსებობის მოთხოვნა. **3.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სულ 23 მასწავლებელია (15 უფროსის სტატუსით, 4 წამყვანის სტატუსით და 4 მოწვეულის სტატუსით). **3.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ორგანიზაციული მართვის კულტურის და გუნდური მუშაობის პრიციპები. ამასთავე, სკოლაში შექმნილი გარემო და ერთ გუნდად შეკრული კოლექტივი, ორგანიზაციული კულტურის განვითარებას უწყობს ხელს. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ასევე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. **3.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. **3.1.2.6 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
თანამშრომლეთაპირადი საქმე;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
ბრძანებები;
ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლის და პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალო ხელმძღვანელის მიერ შესრულებულ საქმიანობაზე დაკვირვებით ან თვითშეფასებით; ან შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება და ა.შ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. **3.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**
სხვა თანამშრომლების შემფასება ხდება შესრულებულ საქმიანობაზე დაკვირვებებით.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუემნტის მიხედვით ახორციელებს თანამშრომლების შეფასებას. მას შექმნილი ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად შეფასების პროცესში ჩართულია ყველა. სკოლას, თანამშრომლების საჭიროებების გამოვლენის შემდეგ, შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია საჭიროება, საჭიროების შესაბამისი ამოცანები და ვადები. აღნიშნული ანალიზი განზოგადების შემთხვევაში გადატანილია ერთწლიან სამოქომედო გეგმაში. **3.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მხარს უჭერს და მოტივაციას უზრდის კარიერული განვითარების გზაზე. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ შეხვედრებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო პროექტებში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მათი საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას. სკოლა მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოხატავს მისი მასწავლებლების მიმართ, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა თუ პროფესიული განვითარება, მხარდაჭერა გამოიხატება მათი მაქსიმალური ინფორმირებულობით შესაბამისი ტრენინგ კურსებისა თუ მოსამზადებელი პროგრამების გაცნობით. **3.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ზოგადი მექანიზმები. აღნიშნულ პოლიტიკას ავსებს და უფრო დეტალურად არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული ადაპტაციის წესი, რომელიც ეტაპობრივად აღწერს ახალი თანამშრომლის სკოლაში ინტეგრაციის პროცესს, მის უფლებებსა და მხარდაჭერის მექანიზმებს.

ამასთანავე, სკოლაში შექმნილია პოზიტიური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადაპტაციის პროცესის ეფექტიან განხორციელებას და შესაბამისი რეგულაციების პრაქტიკაში წარმატებით ამოქმედებას. **3.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ შექმნილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა: აღიარებს პერსონალის პროფესიული განვითარების მნიშვნელობას; ახორციელებს საჭიროებების კვლევას და ამის საფუძველზე გეგმავს განვითარების აქტივობებს; იყენებს მოტივაციისა და წახალისების სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა სიგელი, პრემია, აღიარება და სხვა; უზრუნველყოფს ტრენინგებში, პროექტებსა და პროფესიულ აქტივობებში ჩართულობას. **3.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
პერსნალის განვითარების გეგმა;
ხარისხის ჯგუფის დებულება;
მასწავლებელთა ურთერთდასწრების შემდეგ უკუკავშირი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების,

შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სისტემურ, თანმიმდევრულ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების კონცეფცია და ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლებიც ქმნის შიდა ხარისხის მართვის ეფექტიან სისტემას. დოკუმენტებში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები, პროცესები, პასუხისმგებელი პირები და მონიტორინგის მექანიზმები.

ხარისხის განვითარების პოლიტიკა ეფუძნება უწყვეტ ციკლურ პროცესს — „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე “, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებას. პირველ ეტაპზე ხორციელდება საჭიროებებისა და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი აქტივობები და ყალიბდება სამოქმედო გეგმა. შემდგომ ეტაპზე ხდება დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, მათი შედეგების მონიტორინგი და შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

სკოლა ახორციელებს სასკოლო პროცესებისა და კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, მონიტორინგსა და შედეგების ანალიზს, რაც საფუძვლად ედება წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაცულია გამჭვირვალობის, საჯაროობის, ობიექტურობის, სანდოობის, უწყვეტობისა და ვალიდურობის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტიანობასა და მდგრად განვითარებას. **3.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სისტემურ და ეფექტიან მართვას. აღნიშნული პროცესები ურთიერთდაკავშირებულადაა განსაზღვრული და ემსახურება სასწავლო-საგანმანათლებლო გარემოს ხარისხიან ფუნქციონირებასა და განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული მმართველი და ადმინისტრაციული რგოლის ფუნქცია და თანამდებობრივი ინსტრუქციები. დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამეურვეო საბჭოს წევრების, ბუღალტრის, მასწავლებლის, ბიბლიოთეკარისა და სხვა თანამშრომლების უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ფუნქციური ვალდებულებები. თითოეული პოზიციის საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან განხორციელებასთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან. თანამდებობრივი მოვალეობები შემუშავებულია საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად და დაკონკრეტებულია სკოლის შიდა სამართლებრივ აქტებში, მათ შორის — თანამდებობრივ

ინსტრუქციებში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და შრომით ხელშეკრულებებში. აღნიშნული უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, ფუნქციათა გამიჯვნასა და სკოლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში ფუნქციონირებს საჩივრებისა და დავების განხილვის გარკვეული მექანიზმები, რაც გამოიხატება დისციპლინური კომიტეტის არსებობით, აგრეთვე შიდა რეგულაციებში — კერძოდ, სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში — შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს ზოგად პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობასთან და საჩივრების განხილვის პროცედურებთან.

ამასთანავე, სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს გასაჩივრების წესი და პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტი მოცავს გასაჩივრების პროცედურებს დეტალურად. აღნიშნული წესი ატვირთულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთის. **3.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. **3.3.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;
სამეურვე საბჭოს სხდომის ოქმი;
გასაჩივრების მექანიზმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში დანერგილია მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და თანამონაწილეობით მართვას. სკოლა „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ინფორმირების უფლებას, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროცედურები, სადაც განსაზღვრულია ინფორმირების, უკუკავშირის მიღების, შეფასებისა და რეაგირების ფორმები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდულობა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება მშობელთა კრებების, პერიოდული შეხვედრების, ელექტრონული ფოსტის, სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით, ხოლო ელექტრონული ჟურნალი ეფექტიანად გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, დასწრებისა და მიმდინარე ინფორმაციის მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლა ატარებს გამოკითხვებს, შეხვედრებს და იყენებს სპეციალურად განსაზღვრულ ელექტრონულ საკომუნიკაციო არხებს, მიღებულ ინფორმაციას აანალიზებს და შესაბამის რეაგირებას ახორციელებს, რაც ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ზრდასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მართვის კულტურის გაძლიერებას. **3.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალური ორგანოების საქმიანობაში, რაც სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის მოთხოვნებს და ხელს უწყობს დემოკრატიული, თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლაში ეფექტიანად ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა კოლეგიალური სტრუქტურები, სადაც მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტური მუშაობა, რომელმაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტი სოფლის სტადიონის განახლება, რაც ადასტურებს მოსწავლეთა მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და ინიციატივას. სკოლაში სხვა კლუბებთან ერთად, წარმატებით ფუნქციონირებს რობოტექნიკის კლუბი, რომლის წევრებმაც შექმნეს არაერთი საინტერესო და ინოვაციური პროექტი, მათ შორის „ჭკვიანი სახლი", რომელიც კართან ობიექტის მიახლოებისას ხმოვან სიგნალს გამოსცემს, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ბარათები, ხოლო ამჟამად მოსწავლეები მუშაობენ ახალ პროექტზე — „ავტოსაგზაო ნიშნები ", რაც ხელს უწყობს

ტექნოლოგიური, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს სკოლაში დამკვიდრებულ მონაწილეობის, თანამშრომლობისა და მოსწავლეზე ორიენტირებული მართვის კულტურას. **3.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის პირის განსაზღვრის შესახებ;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
ვიზუალური დათვალიერება;
ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების**

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით სკოლას გადადგმული აქვს მნიშვნელოვანი ნაბიჯები და მიმდინარეობს შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი. სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შეთანხმებისა და დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტით (წერილი № MIA 9 26 01223864). ასევე, სკოლას განხორციელებული აქვს მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და წარმოდგენილია შესაბამისი წერილობითი მიმოწერა (პასუხი წერილი №MIA 6 26 01422103).

ამასთან, სკოლაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და წარმოდგენილია მისი სამოქმედო გეგმა. სკოლა შესაბამისობის გეგმის ფარგლებში ეტაპობრივად ახორციელებს უსაფრთხოების მიმართულებით საჭირო ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებულია შესაბამისი მიმართვა და მიმდინარეობს პროცესი (წერილი № MES 6 26 0000252806). აღნიშნულის შესახებ სკოლას გაცახდებული ჰქონდა თვითშეფასებასა და შესაბამისობის გეგმაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს კი სკოლამ უკვე წარმოადგინა მიმართვის დამადასტურებელი წერილია და გეგმის მიხედვით წინ გადაგმული ნაბიჯი.

საერთო შეფასებით, სკოლა ფიზიკური უსაფრთხოების მიმართულებით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს და შესაბამისობის გეგმის მიხედვით გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები, თუმცა ინდიკატორის სრულად დაკმაყოფილებისთვის საჭიროა დარჩენილი მოთხოვნების შესრულება, მათ შორის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მიღება და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა. კერძოდ, ხარვეზი, სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის არ იყო დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რაც ვერ უზრუნველყოფს მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ შესაბამისობას. რაც ვერ უზრუნველყოფს მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ შესაბამისობას. უსაფრთხოების მიზნით, სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები.

სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:** 1. სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, სკოლამ შესაბამოსობის გეგმაში გაწერილი თარიღების ვადაში (2026-2027 იანვარი, შესაბამისობის გეგმაში ჩაასწოროს ტექნიკური ხარვეზი წელთან მიმარტებით), მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის

უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 2. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების ვადაში (2026 4 ივნისი -2027 30 მაისი), შეძლოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით უზრუნველყოფა.**3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხიმგებელია სკოლის ექიმის, რომელიც წარმოადგენს კვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილია სოლის ექიმისა და ექიმის კაბინეტის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დროულ რეაგირებას. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით სკოლა ახორციელებს შესაბამის საქმიანობას მოქმედი რეგულაციების ფარგლებში და პასუხისმგებელი პირის ჩართულობით უზრუნველყოფს საჭირო სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესში ჩართულია მორიგე მასწავლებელი და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც კოორდინაციას უწევს წესრიგის დაცვის პროცესს, უზრუნველყოფს შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს რეაგირებას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს უსაფრთხო და ორგანიზებული სასწავლო გარემოს შექმნას. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას პრევენციული ღონისძიებებისა და მხარდამჭერი მექანიზმების განხორციელებით. ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო და პრევენციული პროექტი/აქტივობა, მათ შორის: „არა ბულინგს“, „არა ოჯახურ ძალადობას“, „არა ნაადრევ ქორწინებას“, „კიბერბულინგი “, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში უსაფრთხო ქცევის, ტოლერანტობისა და ჯანსაღი ურთიერთობების კულტურის განვითარებას. სკოლაში განსაზღვრულია პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისი დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით, სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგის პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს სკოლის ექიმი. სკოლის დასუფთავებაზე ზრუნავს 2 დამლაგებელიც. სანიტარული ჰიგიენური დორმების დაცვის მონიტორიგნს ახორციელებს ექიმი. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის შესაბამისი ფორმა, რომელსაც დადგენილი წესის მიხედვით აფასებს სკოლის ექიმი. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ "საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება**;

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში ძირითადად იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება**;

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. ელექტრონულ სისტემებთან წვდომისას, ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული ჟურნალზე წვდომა აქვს ყველა პედაგოგს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სკოლის ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს Office365 ლიცენზირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სკოლის კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერები ჩასმულია დომეინში. შესაძლოა ითქვას, რომ ემისის მიერ სკოლაში დაცულია კომპიუტერული ქსელი და მონაცემები, რომლებსაც ინახავს eflow და eschool. **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის კომპიუტერები;

მასწავლებლების, ადმინისტრაციის და მოსწავლის პირადი საქმეები;

სკოლის eflow და eschool;
ვიზუალური დათვალიერება;
სკოლის კორესპონდენცია (შემოსული და გასული წერილები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა-ნაგებობა, საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მდებარეობს სოფელ დიდინეძში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. სკოლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 18 744.00 კვადრატულ მეტრს.

სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ძირითადი შენობა-ნაგებობა №1, რომლის ფართობია 519.11 კვ.მ. ასევე, ეზოში მდებარეობს ორი დამხმარე შენობა-ნაგებობა: შენობა №3 — ფართობი 24.0 კვ.მ; შენობა №4 — ფართობი 20.3 კვ.მ, რომელიც გამოიყენება გარე საპირფარეშოდ.

გარდა აღნიშნულისა, სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი შენობა-ნაგებობა, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. აღნიშნული ნაგებობა განთავსებულია ეზოს უკანა ნაწილში, ღობის მიმდებარედ, და უსაფრთხოების მიზნით დაცულია (შემოსაზღვრულია).

ძირითადი შენობა, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი 2 სართულიანია. სკოლაში პირველ და მეორე სართულებზე განლაგებულია საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები. სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილია აქვს 180 მოსწავლეზე, დაკმაყოფილებისა და აღნიშნული კონტიგენტის მიღების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა აქვს სრულად დაიტიოს მოსწავლეთა რაოდენობა (საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების ფართი იძლევა ამის საშუალებას).

ავტორიზაციის ექსპერთა ვიზიტის პერიოდში, სკოლას ჰქონდა 147 მერხი და სკამი, თითოეული კლასი აღჭურვილი იყო დაფით და მცირე სასკოლო ინვენტარით (კარადა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი). **3.5.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია ყველასათვის, გაწერილია სამუშაო განრიგი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. პირველ სართულზეა ექთნის ოთახი, რესურსოთახი, სპორტული მოედანი. საერთო სარგებლობის სივრცეები, პირველ სართულზე / სკოლის ეზოში განთავსებულია მაგიდის ტენისი, რომელიც სასკოლო საზოგადოების განკარგულებაშია. მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. **3.5.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების ეფექტიანად და ორგანიზებულად მიწოდებას, მის მიერ დადგენილი წესისა და რეგულაციების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს როგორც ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური და ელექტრონული რესურსების აღრიცხვა-დამუშავების საკითხებს, ისე სასკოლო საზოგადოების წევრთათვის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის საქმიანობის სისტემურ და უწყვეტ წარმართვას.

აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლეებში წიგნიერების, კითხვის კულტურისა და ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული მიზნით ბიბლიოთეკა და პედაგოგები მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სთავაზობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და აქტივობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია VII კლასის მოსწავლეებთან განხორციელებული აქტივობა ქართული ეპოსისა და მსოფლიო ლიტერატურის გადაკვეთაზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ჰომეროსის ნაწარმოების განხილვა, ტექსტის ანალიზი და შესაბამისი ფილმის ჩვენება-განხილვა. აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში კითხვის ინტერესის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

ასევე, განხორციელდა პროექტი „წიგნის მეგობრები“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა წაიკითხეს და განიხილეს უკანასკნელი მოჰიკანი. პროექტი მოიცავდა ტექსტის ანალიზს, დისკუსიებს, ფილმის ჩვენებასა და შემდგომ განხილვას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა სააზროვნო და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 10 171 ერთეულს, რაც ქმნის მრავალფეროვან და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო რესურსს სასკოლო საზოგადოებისათვის. საერთო ჯამში, სკოლა მიზანმიმართულად და ეფექტიანად იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად და მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებისათვის. **3.5.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. სკოლის შესასვლელი და პირველი სართული უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოში უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას.

პირველ სართულზე განთავსებულია ექთნის ოთახი და რესურსოთახი, რაც მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის, ისე ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასევე, სკოლაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო დანარჩენ ტუალეტის კაბინებში განთავსებულია ე.წ. თურქული ტიპის ტუალეტები

სკოლის მეორე სართული არ არის ადაპტირებული და ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სკოლა ობიექტურად აღქვამს საკუთარ რეალობას, თვითშეფასების საფუძველზე წარმოდეგნილი აქვს შესაბამოსობის გეგმა, რომელშიც გაწერილია აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესახებ. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია.** კერძოდ,შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2028 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსისა დამზადება და დამონტაჟება. **3.5.1.4 ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არსებობდეს სივრცეები: საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, დერეფნები და რეკრეაციული ზონები, გარე სპორტული მოედანი, სკოლის ეზო, კომპიუტერული ლაბორატორია, ყველაფერი ეს ერთად, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ, შეიკრიბონ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. **3.5.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასაქონლო ზედნადები;
ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი;
ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია 12 პერსონალური კომპიუტერითა და ინტერნეტით. სკოლას, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, ჯამში აქვს 20 პორტატული კომპიუტერი, 3 ცალი ლაზერული პრიტერი, 1 ფერადი პრინტერი, 2 პროექტორი და 2 ლეპტოპი. **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი (ინვენტარიზაციის დოკუმენტი);
ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებლის პოზიციაზე ბრძანებით განსაზღვრული პირი. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს ელექტრონულ სისტემას და მატერიალურ შესაბამისი ბრძანებების შექმნის მიზნით. სკოლას, საქმის წარმოების წესის შესაბამისად, აქვს ხუთი ჟურნალი : შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; შრომის ცხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; გასული დოკუემტაციის რეგისტრაციის ჟურნალი. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. სკოლა ელექტრონული სისტემის საშუალებით ახდენს სასწავლო პროცესის წარმართვას მაგალითად eschool სისტემას სადაც ხდება ცხრილის ატვირთვა მოსწავლეთა კლასებში განაწილება საგნებისა და მასწავლებლების განაწილება, ასევე eflow სისტემას დოკუმენტბრუნვის საჭიროების შესაბამისად. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები. კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **3.6.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. რისი დასტურიც გახლავთ სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან/დაწესებულებებთან. **3.6.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გაგზავნილი კორესპონდენციები
მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილი
საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ეფექტიანად ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლებიც ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდზე და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები, განხორციელებული აქტივობები, პროექტები და ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების დროულ და სრულყოფილ ინფორმირებას. სკოლა აქტიურად და სისტემატურად ანახლებს აღნიშნულ საკომუნიკაციო არხებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობის ზრდას. ასევე, განსაზღვრულია ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე

პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, დროულ განთავსებასა და ეფექტიან კომუნიკაციას. **3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. **3.6.3.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებიდან, ასევე დაინტერესებული პირებიდან. ამისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლაში აქტიურად მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლის საზოგადოების წარმომადგენელია. სამეურვეო საბჭო განიხილავს სხვადასხვა საკითს და ოქმის სახით უკუკავშირს სთავაზობს სკოლას. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, მშობლები ხშირად კომენტარის სახით, სკოლას აწვდიან უკუკავშირს. **3.6.3.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი,რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი. **3.6.3.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი; https://skolebi.emis.ge

მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი; https://eflow.emis.ge
მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსურ რესურს განკარგავს სკოლის საჭიროებების შესაბამისად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები შეესაბამება მის ფინანსურ რესურსს. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის შესახებ, სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე. **3.7.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს ოქმები. **3.7.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმები
სოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, სკოლა ხელმძღვანელობს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსით, მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები “. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლის დირექტორს ბრძანებით შექმნილი აქვს მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი, - ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეწყვეტის წესი. ჰყავს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის იფიცერი და დისციპლინური კომიტეტი. ძალადობის შემთხვევაში რეფერისების შიდა ინსტრუქცია და ა.შ. **4.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ატარებს გაერთიანებულ მშობრელთა კრებას, და აცნობს საკანონმდებლო დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლო კურიკულუმებსა და შეფასების სისტემას. დამრიგებლები რეგულარულად თანამშრომლობენ მშობლებთან და სისტემატურად აწვდიან განახლებულ ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები. **4.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგბელის პორტფოლიო;
მოსწავლის ადაპტაციის წესი;
ხელშეკრულება მშობელთან;
ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. სკოლა იცავს ყველა იმ სამართლებრივ და შიდა მარეგულირებელ მოთხოვნას, რომელიც უკავშირდება მოსწავლის უფლებების რეალიზებას, ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და ადმინისტრაციული მომსახურების განხორციელებას.

სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებლები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ მშობლების ინფორმირებას მობილობის, სასწავლო პროცესის, დაგეგმილი ღონისძიებების, კონკურსების, აქტივობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლა კანონმდებლობითა და გონივრული ვადების დაცვით გასცემს შესაბამის ცნობებსა და დოკუმენტაციას.

სკოლაში მოქმედი რეგულაციები და ადმინისტრაციული პროცესები უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას, მოსწავლეთა ინტერესების დაცვასა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ეფექტიან განხორციელებას ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის პირადი საქმის ფორმა და ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი''-ს შესაბამისად. კერძოდ მოსწავლის პირად საქმეში მოცემულია მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის ბრძანება (კონკრეტულ, ერთ შემთხვევაში), კლასიდან კლასში გადასვლის ბრძანების ნომერი (საერთო ბრძანება მიბმულია eflow-ზე), საფეხურის დაძლევის ქულა და შესაბამისი ბრძანების ნომერი. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მართავს შეხვედრებს მშობლებთან და აცნობს სასწავლო გეგმას, კურიკულუმებს. სასკოლო კლუბები ყალიბდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. სკოლაში ხაზგასასმელია საკლუბო მუშაობა, კლუბში წევრთა მიღება ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელწერით, აქტივობები საჯაროა და ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სკოლას არ აქვს დამატებითი ფასიანი მომსახურება. **4.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ შეიცავს სამართლებრივ შეუსაბამობებს. სკოლას, ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდისა და სკოლის სოციალურ გვერდის (Facebook) ადმინისრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ განახლებას, რაც ამცირებს მოძველებული ან არაზუსტი მონაცემების გავრცელების რისკს და ზრდის ნდობას სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

დამრიგებლები კი დახურულ ჯგუფებში აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლა იცავს არადისკრიმინაციულობის პრინციპს — გავრცელებული ინფორმაცია არ ანიჭებს უპირატესობას კონკრეტულ ჯგუფებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. **4.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ გვერდი [სკოლის ვებ გვერდი]

სოციალური ქსელი; https://www.facebook.com/-ზე

შობელთან დადებული ხელშეკრულებები;

ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც პირველკლასელთა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების, ასევე იმ მოსწავლეების მხარდაჭერას, რომელთაც სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას უძნელებს ენობრივი ბარიერი, კულტურული განსხვავება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან სხვა ინდივიდუალური ფაქტორები. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ადაპტაციის პროცესზე მოქმედი სხვადასხვა რისკ-ფაქტორი და განსაზღვრული აქვს მათი მართვის მექანიზმები.

დოკუმენტში ცალკე არის აღწერილი ადაპტაციის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები, როგორიცაა მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, სასწავლო დატვირთვა, მშობლის ჩართულობა, ენობრივი და კულტურული ბარიერები, დამრიგებლის როლი და საორიენტაციო ვიზიტების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა განსაზღვრავს მასწავლებლისა და დამრიგებლის აქტიურ როლს მოსწავლის სოციალიზაციის, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისა და თანატოლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობის მიმართულებით.

დოკუმენტი ასევე მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეთათვის. პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობების წინასწარი შეფასება და ურთიერთგაცნობითი აქტივობების ჩატარება, ხოლო სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში — საჭიროებების იდენტიფიცირება, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვის შესაძლებლობა.

მობილობით გადმოსული მოსწავლეებისათვის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ ადაპტაციის ნაბიჯებს: მოსწავლისთვის სასკოლო გარემოს გაცნობას, შინაგანაწესისა და ქცევის წესების განმარტებას, თანაკლასელებთან ინტეგრაციის ხელშეწყობას, მშობლებთან კომუნიკაციასა და არაფორმალური აქტივობების ორგანიზებას.

დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს როგორც წარმატებული ადაპტაციის, ისე დეადაპტაციის ნიშნები და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები. დოკუმენტში აღწერილია, როგორ უნდა მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება, მშობლის ინფორმირება, მოსწავლის მხარდაჭერა, მოტივაციის ამაღლება და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება **4.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი ფუნქციონირებს პრაქტიკაში და ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების ერთობლივი ჩართულობით. სკოლა ადაპტაციის პროცესს იწყებს სასწავლო წლის დაწყების ეტაპიდანვე და უზრუნველყოფს პირველკლასელთა და ახალჩარიცხულ მოსწავლეთა

მხარდამჭერ ღონისძიებებს, მათ შორის: სასკოლო გარემოს გაცნობას, საზეიმო დახვედრას, ურთიერთგაცნობით და მამოტივირებელ აქტივობებს, კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობასა და მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას.

დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ მოსწავლეთა სასწავლო და სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, ხოლო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების ორგანიზებასა და კოორდინაციას. სკოლაში ასევე ხორციელდება სხვადასხვა შიდა და გასვლითი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამეგობრებას, კომუნიკაციის განვითარებასა და სასკოლო ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართულობას. სკოლაში (კლასებში) რეგულარურად ტარდება სადამრიგებლო კლასის საათი. დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან მშობლებს მუდმივ რეჟიმში. შექმნილია მულტიდისცილინური ჯგუფი და ინდივიდუალური გეგმები. სკოლაში, მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შექმნილია სხვადასხვა კლუბი, მათშორის რობოტექნიკის კლუბი. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა და საჭიროების შემთხვევაში რემედიაციის მექანიზმები. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა სისტემატურად ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიწოდებას. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და რემედიაციის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია სწავლაში დამატებითი დახმარების საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერისკენ. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება დამატებითი განმარტებები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, განმავითარებელი უკუკავშირი და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა.

მოსწავლეები რეგულარულად, საჭიროებისამებრ მიმართავენ საგნის მასწავლებლებსა და დამრიგებლებს სხვადასხვა აკადემიურ საკითხთან დაკავშირებით და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას. სკოლა აკონტროლებს სწავლის ხარისხსა და მოსწავლეთა პროგრესს, ხოლო მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებსა და მშობლებთან აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლაში მოქმედი მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის რემედიაციის პროცესები და საკონსულტაციო აქტივობები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად. **4.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ძირითადი და ზოგადი მექანიზმები. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებისა და დამატებითი/არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესებისა და იდეების ხელშეწყობას. სკოლა, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას. პროცესში ჩართულნი არიან სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა არაერთი საინტერესო პროექტი და აქტივობა, რომელიც მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა და ამჟამადაც ხორციელდება. მათ შორის აღსანიშნავია სოფლის სტადიონის განახლების ინიციატივა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, ასევე სკოლის შენობაში მოსწავლეთათვის სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. აღნიშნული აქტივობები ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, პასუხისმგებლობის გაზიარებასა და არაფორმალური განათლების განვითარებას. **4.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ღიაა უკუკავშირისა და ინიციატივების მისამართით. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ის რეგულაგრულად იღებს უკუკავშირს დაინტერესებული პირებისგან. უკუკავშირის მირება ხდება: სოციალურ გვერდზე - პოსტზე კომენტარის სახით, ჩატარებული ანონიმური გამოკითხვის სახით, სხვადასხვა შეხვედრებზე (მშობელთა საერთო კრებები). **4.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;
არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია;
კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები;
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
ტრანზიციის წესი;
რემედიაციის მექანიზმები;
განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. აღნიშნული მიმართულებით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიასა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების შესახებ.

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით აქტივობები ინტეგრირებულია სადამრიგებლო/კლასის საათებში. კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები რეგულარულად ატარებენ შეხვედრებსა და საინფორმაციო აქტივობებს სხვადასხვა პროფესიის, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული პროცესები დადასტურებულია კლასის საათის ოქმებითა და შესაბამისი დოკუმენტაციით.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებებით ასევე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან კარიერული დაგეგმვის აქტივობებში და იღებენ მხარდაჭერას პროფესიული ინტერესებისა და მომავალი არჩევანის სწორად განსაზღვრის მიმართულებით. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით აქტივობები ინტეგრირებულია სადამრიგებლო/კლასის საათებში. კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები რეგულარულად ატარებენ შეხვედრებსა და საინფორმაციო აქტივობებს სხვადასხვა პროფესიის, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული მიმართულებით, კლასის დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის ასევე დაინტერესებული მოსწავლის მშობელსაც. **4.2.2.2. ნიდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა საჭიროების მიხედვით ატარებს გამოკითხვებსა და აგროვებს უკუკავშირს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შესაფასებლად. მიღებული შედეგების შეჯერების საფუძველზე, სკოლა მზად არის გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციები და შესაბამისი ცვლილებები

ასახოს საქმიანობაში. ამასთანავე, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მომსახურების ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების კონკრეტული მექანიზმების უფრო დეტალურად გაწერასა და სისტემატიზაციას. **4.2.2.3. ნიდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მემორიანდუმი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიასთან;
მემორანდუმი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
სადამრგებლო კლასის საათის ოქმი;
გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მკაფიო და სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებასთან. შიდა რეგულაციებში დეტალურად არის განსაზღვრული სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და მონიტორინგის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.
სკოლა ავლენს მზადყოფნას ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის — შექმნილია შესაბამისი ჯგუფები დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის მექანიზმები.
სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში ირიცხება 6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. **4.2.3.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ამ ჯგუფის მოქმედება, რესურსს ოთახში გამოკრულია თითოეულ მოსწავლესთან მუშაობის განრიგი (პერსონალური მონაცემების დაცვით). საპეციალურ მასწავლებელს, თითოეულ მოსწავლეზე შექმნილი აქვს პორტფოლიო და აწარმოებს მას. პორტფოლიო შედგება ორი

ნაწილისაგან: ადმინისტრაციული, რომელშიც ინახება ადმინისტრაციული დოკუმენტაცია (სხდომის ოქმები, შედეგების ანალიზი და ა.შ.) მეორე ნაწილი: პროცესის მიმდინარეობის ამსახველი - მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები (სხვადასხვა საგანში). **4.2.3.2. ინდიკატორი შეესაბამება**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

მასწავლებლის პორტფოლიო;

სასკოლო ბაზები (Eschool);

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას აქვს არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება: ტრანსპორტირების სერვისი. ტრანსპორტირების სერვისი მოქმედებს 2 კმ-ის რადიუსზე მცხოვრები მოსწავლეებისთვის, სერვისის ღირებულების დაფარვა ხდება მუნიციპალური ხარჯებით. ტრანსპორტირება ხდება დამტკიცებული მარშრუტებისა და განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დამფინანსებელი სკოლასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირების მომსახურების ტაბელის აღრიცხვის წარმოებაზე და ხელმოწერაზე პასუხიმგებელი პირი. **4.2.4.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **4.2.4.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო მომსახურება, გარდა სატრანსპორტო მომსახურებისა, რომლის ფინანსურ ანგარიშგებას აწარომების ადგილობრივი მონიციპალიტეტი. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება ტრანსპორტირების მომსახურების ტაბელის აღრიცხვის წარმოებაზე და ხელმოწერაზე პასუხიმგებელიპირის განსაზღვრის შესახებ;
მომსახურების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითრების მეთოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტში. ის მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესის, მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრების სხდომებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის, მშობლისა და მოსწავლის ინტერესები. შემუშავებულია მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმები. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. Facebook გვერდზე სკოლას შექმნილი ჯგუფები , სადაც გაწევრიანებულია შესაბამისი კლასების მოსწავლეები, მშობლები. მათ შეეუძლიათ თვალი ადევნონ სკოლის მიერ გაზიარებულ სადამრიგებლო პროგრამებს, კურიკულუმებს, წლის განმავლობაში შეტანილ ცვლილებებს. მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იქნა სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას. **2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ორიენტირებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესიდან გამომდინარე შექმნას და დანერგოს მათ ინტერესებზე მორგებული კურიკულუმი, გაუზიაროს მათ წინასწარ და მიიღოს უკუკავშირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, შესაბამისად საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, განსაკუთრებით კათედრის წევრები, რომლებიც ერთობლივად ადგენენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, შეფასების კრიტერიუმებს, სასწავლო რესურსებს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ თითოეული კლასის/მოსწავლის გასული სასწავლო წლის მიღწევებს, მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების მიზნით. **2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები;

მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება კლასების მიხედვით facebook - ჯგუფურ ,,ჩათებში'' სკოლის ვებ გვერდზე, მშობელტა კრებებზე.

სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არა მარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. **2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა
საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
კათედრების სამუშაო გეგმა
კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია(სსგ)
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი
პედაგოგიური საბჭოს ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი
მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმა, მომავლის სკოლა მოსწავლის ხედვით
მშობელთა კრების ოქმები
პროექტები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ კურიკულუმის ჩარჩოს სხვადასხვა ფორმა, სადაც ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები და მათ მიერ გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები, სულ მცირე

	იდეის დონეზე მაინც, რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში ჰქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შექმნილი კურიკულუმები წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც სწავლების პროცესი განხილულია როგორც ცოდნის კონსტრუირება. მასთანავე, სწავლება ემყარება კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების შექმნასა და შესრულებას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, შესაძლებლობები, ინტერესი და საჭიროებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინეს მოსწავლეების საჭიროებები, ინტერესები, მშობლემის უკუკავშირი და ეროვნული სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, საკვანძო უნარების განვითარებას და მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. **რჩევა,:** სასურველია, გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი იქნას წარმოდგენილი ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მაგალითი შედარებისთვის და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ გაგებაში. დაწყებით და საბაზო სწავლების საფეხურზე მუსიკაში გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა პირველ,მეორე,მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასში, ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე პირველ, მეორე, მეასმე და მეექვსე კლასში. საბაზო საფეხურზე ხელოვნებაში კომპლექსური დავალებების პირობების გადამუშავება ისე, რომ სწორად იყოს ფორმულირებული და სრულად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. პედაგოგებმა

	გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ გაითვალისწინებენ რჩევას და მომავალი სასწავლო წლიდან და განახორციელებენ კურიკულუმების შესაბამის რევიზიას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა,რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა**: სასურველია სკოლამ კათედრაზე შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი, რომელიც საერთო იქნება ყველა საფეხურისა და ყველა კლასისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა , რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნისთვის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. **რჩევა:** სასურველია ,სკოლამ კათედრაზე თითოეულ საგანში შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც საერთო იქნება ყველა კლასისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. ამ უნარების ჩამოყალიბება ხდება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მოსწავლეების პროექტული მუშაობის დროსაც. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევა-დიანი მიზნები. დოკუმენტის მიხედვით სწავლების პროცესი და მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და გააზრება ემყარება ესგ მიხედვით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. ამასთანავე სწავლება დამყარებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითობას, დამუკიდებელი აზროვნებისა და სხვა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილია, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის შესაბამისი აქტივობები. მათი განხორციელებით მიღწევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი მიზნები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები.

	რჩევა: მე-10 კლასში მუსიკაში პროექტული სწავლებისას საჭიროა თითოეულ თემაში მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები, მათ შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, გაითვალისწინონ საფეხურის საკვანძო კითხვები და საფეხურის მკვიდრი წარმოდგენები **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულს ჰქონდეს სვეტი კონტექსტ-მაგალითისათვის, სადაც შეტანილი იქნება კონტექტმაგალითები ლაკონურად და ზუსტად. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მასწავლებელის მიერ შედგენილი კურიკულუმი წარმოადგენს სწავლის ისეთი გარემოს დაგეგმვის საფუძველს, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. საგნობრივი პროგრამა ემყარება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიზნად ისახავს სავალდებულო თემების შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესის მოქნილ და პრაქტიკულ ორგანიზებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია რესურსები , როგორც მატერიალური ისე ელექტრონული (ტელესკოლის გაკვეთილები, PPT პრეზენტაციები, www.youtube.com-ს ვიდეორგოლები, ანიმაციები, თვალსაჩინოებები - სქემები, ცხრილები) , რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესს და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალიწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტორნული და მატერიალური რესურსები მასწავლებლის მიერ შექმნილი ან მოძიებული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალიწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

	რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები. კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენონ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში შესაბამის სვეტში სრულად შეიტანონ მატერიალური და ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე (თვალსაჩინოება, ფოტოები, ფილმები, ზეპირი გადმოცემები, რუკები...) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ეს რესურსები არის მრავალფეროვანი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული და მოსწავლეს უქმნის არჩევანის საშუალებას. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თვითონაც ქმნიან და იყენებენ რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის, ციფრული და ინტერნეტრესურსები, ვიდეომასალა და ვიზუალური დემონსტრაციები. **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (code.org და codemonkey.com/) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა სასკოლო სივრცეში გულისხმობს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმნეტებში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. მათთვის გათვალისწინებულია დიფერენცირებული აქტივობები მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად. ►იფერენცირებულ მიდგომებს მასწვლებელები იყნებენ საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, საჭიროებების და ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრა სასწავლო პროცესის სწავლების სამივე საფეხურზე უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას აღწერეს ის მიდგომები ,რასაც იყენებენ მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. ინკლუზიური მიდგომა და დიფერიენცირება ჩანს შემოქმედებითის დავალებების შესრულებისას, რაც ხელს

	შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ინკლუზიურობას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობები ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შედგენილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ აქტიურად და წარმატებით შეასრულონ ამოცანები საკუთარი ტემპითა და სტილში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების დიფერენცირებას, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი(სსგ) და მოსწავლეთა შეფასების ინსტრუქცია. მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. ასევე მტკიცებულებად წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ამ შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, პროექტის, კვლევის შეფასების რუბრიკები..... **რჩევა:** სასურველია კათედრაზე მასწავლებლებმა გაითვალისწინოთ ერთმანეთის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სანიმუშო ფორმები და შექმენით კონკრეტული თემის, ძირითადი საკითხის ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერთ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში-რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, შესაბამისი მაქსიმალური ქულით და კომენტარით(საჭიროების შემთხვევაში); ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც: თემა/ძირითადი საკითხი/სამიზნე ცნება/ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებითა და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით (მოლოდინები). იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მიმართულია მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. შეფასების ორივე ფორმა - განმსაზღვრელი/განმავითარებელი ორიენტირებულია

	გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და წარმოადგენს სწავლების განუყოფელ ნაწილს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა ესთეტიკური საგნების სწავლებისას ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: თვითშეფასება, კოლეგის შეფასება, მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი. აკეტის. ესსე,პ რეზენტაცია, დიაგნოსტიკური ანალიზისა და შემაჯამებლის ფორმები და ა.შ . ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე, შემუშავებული აქვთ შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების მიდგომებში ძირითადად გათვალისწინებულია ესგ-ში განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ზოგად დოკუმენტებში, რეფლექსიებში სწორად არის ასახულია ეს მიდგომები, მოცემულია ე.წ. მოლოდინების რუბრიკები, შესავლელი და გასავლელი ბილეთები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ცხრილები, სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ (მე-5 კლასი მეორე სემესტრი-მე-12 კლასის ჩათვლით, საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების დროს) შეფასებებს. სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების რუბრიკებში სატანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები მისადაგებულია საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებთან. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	ატვირთულ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას.

	როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების პედაგოგებმა წარადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ელემენტებს. შეფასების რუბრიკები ასახავს მოსწავლეთა პროგრესს და დეტალურად აჩვენებს მათ შესაბამისობას საგნობრივი შედეგებისა და საფეხურის ინდიკატორებთან. წარმოდგენილი რუბრიკები შექმნილია ტექნოლოგიების სტანდარტების გათვალისწინებით და ემსახურება გრძელვადიანი საგნობრივი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026.(დაწყებითი/საბაზო/საშუალოსაფეხური);
საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/სშუალო საფეხურის;
დიაგნოსტიკური წერის ანალიზი
კათედრის სხდომის ოქმები
კათედრის სამუშაო გეგმა.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
კოლეგების უკუკავშური;
მოსწავლეთა ნამუშევრები.
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
პროექტები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (სსგ)

სკოლის ვერიფიკაციის ინსტრუქცია (სსგ)

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა, ასევე

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიში ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე იგეგმება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაფუძნებულია ეროვნულ სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მიზნად ისახავს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების, მხატვრული აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, პროცესი ეფექტიანად ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების გაძლიერება. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის დროს, მასწავლებლთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებითი დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, კათედრის სხდომის ოქმები და მასწავლებელთა ანგარიშები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი წარმოაგდენს წინასწარ დაგეგმილ პროცესს და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო პროგრამას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან ინტერვიუს თანახმად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო

	ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ემთხვევა წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმს და სრულად ასახავს მის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლება მიმდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული თემების, აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შედგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება და გადასინჯვა და რევიზია. პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს. ისინი აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ გამოცდილების საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კათედრის თავმჯდომარეები ატარებენ კათედრის სხდომებს, რათა შეისწავლონ დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემები და დანერგონ ინოვაციები. დირექტორის მოადგილე აწყობს სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. დირექტორის მოადგილე კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით ყოველწლიურად განაახლებენ კურიკულუმს და ამზადებენ დასამტკიცებლად.ხდება კომპიუტერული ტექნიკითა და ახალი სასწავლო რესურსებით აღჭურვა . ეს პროცესები უზრუნველყოფს, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები მუდმივად ახდენენ შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობების ადაპტირებას კლასის დინამიკისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.კურიკულუმი ითვალისწინებს რემედიაციის წესს, რომელსაც სკოლა გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. **2.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური , სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა წარმოადგენს რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. ამასთანავე შეფასება ემყარება გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა გახადოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკებს აცნობს მოსწავლეებს და მშობლებს წინასწარ. კრიტერიუმებს შეიმუშავებს კათედრაზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი და არის როგორც ზოგად ხასიათის ასევე შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავებულია სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, აისახულია რეკომენდაციები და მოიცავს კომპონენტებს: დაზუსტება; წახალისება,რჩევა, აღწერა,შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია,კირიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება,ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით,მოსწავლეებმა წინასწარ იციან ,რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც

	ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების, ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური დასამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მიემართება შედეგების ინდიკატორებსა და გრძელვადიან მიზნებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტესა და სანდოობას. კურიკულუმში გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია კონკრეტულ დავალებებთან და სამიზნე ცნებებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლა-სწავლების პროცესში სკოლას გამოყენებული აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი , წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომელიც მოიცავს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. შეფასების სისტემა ეფუძნება შეფასების რუბრიკებს. მასწავლებელი შეფასების პროცესში თავისუფალი და დამოუკიდებელია. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა შეფასების ინსტრუქცია, შექმნილია დირექტორის ბრძანებით მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფი. შექმნილი ჯგუფი მუშაობს ვერიფიკაციის პროცესის შესაბამისად. ჯგუფი ადგენს რამდენად არის შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კათედრების წარმომადგენლები ჩართულები არიან ვერიფიკაციაში და ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებენ შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას, ამოწმებს შეფასების რუბრიკებთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, კათედრის წარმომადგენელთან ერთად.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.სკოლაში ვიზიტისას, სკოლამ წარმოადგინა გასული წლების შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლა ინახავს, საგნობრივ კათედრებზე, შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებსა და მათი შეფასების რუბრიკებს. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ასახულია მოსწავლის პირად საქმეებში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურის.

სასწავლო პროცესის შეფასება მათემატიკა(კოლეგის)

სასკოლო სასწავლო გეგმა (ვერიფიკაციის მექანიზმი)
შეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
შემაჯამებელი დავალების ანალიზები
დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ყველა საგნის
განხორციელებული პროექტის გეგმები
კათედრის სხდომის ოქმები
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა იყენებს სკოლაში არსებულ დამხმარე მატერიალურ რესურსებს სკოლის ლაბორატორიიდან, ასევე სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს. ეს რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები აქტიურად გამოიყენება სკოლაში და ხელს უწყობს ესგ ში გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების დაძლევას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელთა გამოყენებაც დაგეგმილია სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი რესურსი დაეხამრება მასწავლებელს მიაღწიოს დასახულ მიზანს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას იყენებს როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს,რომლებიც ხელმისაწვდომია ხელოვნების გაკვეთილებზე, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. თუმცა, მუსიკის სწავლების პროცესში

	სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება შეზღუდულია და არ ხდება კურიკულუმთან მათი სისტემური კავშირით გამოყენება. **რჩევა**: სასურველია,მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკლუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ რესურსებს, მათ შორის ინტერნეტში ხელმისაწვდომ დამატებით მასალებს, ვიდეოგაკვეთილებსა და ვიზუალურ დემონსტრაციებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში ჩანს, რომ ძირითად გრიფირებულ და დამხმარე სახელმღვანელოებს კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. სკოლა თავად უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას . **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრაზე, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების აქტიური გამოყენება უზრუნველყოფს ხელოვნება/მუსიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ რესურსებს იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში შეიტანონ ელექტრონული რესურსების მისამართები, რომლებსაც იყენებენ. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს მათემატიკის კათედრა. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებელთა მონაწილეობით და შეთანხმებით, რაც

	უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას საგნობრივ კურიკულუმთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **რჩევა:** სასურველია, გამოყენებული იქნას დამატებით ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი აქტივობები ძირითადად არ საჭიროებს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს, შესაბამისად, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას აღნიშნულ საფეხურზე. საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ძირითადი ინფრასტრუქტურით, მათ შორის — სხვადასხვა სასწავლო რესურსით, გამწოვი სისტემით, სადემონსტრაციო მაგიდითა და სველი წერტილით. არსებული რესურსები იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს სასწავლო აქტივობები და პრაქტიკული სამუშაოები. რჩევა: სასურველია, ცდებისთვის საჭირო ნივთიერებებისა და ლაბორატორიული მასალების მარაგის მუდმივი და დროული შევსება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სამუშაოებისა და ექსპერიმენტების შეუფერხებლად ჩატარება სასწავლო პროცესის განმავლობაში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. ონლაინ ინტერიუთი და სკოლაში ვიზით მყოფი ექსპერტების დასტურით გამოიკვეთა, რომ სკოლას როგორც გეოგრაფიის, ასევე ისტორიის მიართულებით გააჩნია შესაბამისი თემატური რუკები, ამასთანავე კურიკულუმის მონიტორინგით დადგინდა, რომ შესაბამისი სსასწავლო შედეგების მისაღწევად სკოლა იყენებს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებულ ინტერნეტ რესურსებს. ამდენად სკოლა სრულადაა უზრუნველყოფილი სწავლების პროცესში შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ელექტორნულ და მატერიალურ რესურსებს, პოსტერებს, ბროშურებს, აუდიო და ვიდეო მასალას და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლების მიზნებისა და შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ხელოვნებისა და მუსიკის სწავლების პროცესი სკოლაში არის მორგებული როგორც კურიკულუმის მოთხოვნებზე, ისე მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას ამ სფეროში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გადასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თვითონ ქმნიან და იყენებენ რესურსებს: **რჩევა:** სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და იყენებენ. **ინდიკატორი შეესაბამება.**

მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და რესურსებს, რაც შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელთაც აქვთ კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაცია. სასკოლო საგნებს ასწავლიან შესაბამისი განათლებისა და სტატუსის მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომელთაც სწავლების უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად. **2.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
საგნობრივი პროექტები
შემოქმედებითი დავალებები სხვადსხვა საგნის
სასწავლებლების პირადი საქმეები
ისქულის ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორი, მასწავლებლები. ინტენსიურად თანამშრომლობენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. დასახულია კურიკულუმის განვითარების გზები, მონაცემთა შეგროვების ვადები, განსაზღვრულია პასუხისმგებლობები. სასკოლო საზოგადოება ჩართულია მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში, რაც მათი ეფექტურობის საფუძველია. სასწავლო წლის

განმავლობაში ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელბაზე, რომლიც საბოლოოდ დასრულდება სასწავლო წლის ბოლოს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. მონიტორინგი და შეფასება სკოლაში წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის საშუალებას. **2.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმასთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისათვის).

ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლა გეგმავს მეტად დახვეწოს მონიტორინგის მექანიზმები, შეიმუშავოს ახლებური კვლევითი მეთოდები, რათა უფრო ეფექტიანად გადაჭრას სწავლა-სწავლების პროცესში არსებული პრობლემები. შესაბამისად, ,,მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“. **2.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც

ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობა. აღნიშნული ჯგუფი ხელს უწყობს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და ზრუნავს სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. პროცესის ფარგლებში, ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში, კონსტრუქციული რეკომენდაციების გაცემას. **2.3.1.3. 2.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
სასკოლო სასწავლო გეგმა
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
კათედრის სხდომის ოქმი
ხარისხის მართვის დებულება
სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტები
გაკვეთილზე დაკვირვების ზოგადი ფორმა
გაკვეთილის აღწერითი ფორმა
რძანება 2-09 სასკოლო სასწავლო გეგმის სეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამის დასტურია ხარისხის მართვის დოკუმენტი , რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესებს, ხდება სასწავლო პროცესების გადახედვა და შეფასება

შეფასება სასწავლო პროცესის არის მრავალმხრივი, დასაქმებულ პირთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრებას და მათ მიერ მონიტორინგისა და შეფასების პროცესების განხორციელებას.

სამივე საფეხურზე შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, მაგალითად, კითხვარები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ასევე იყენებს კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშებს.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად კითხვარები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. **2.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით - მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, პროგრესი, რეგრესი, გარემო კლიმატი და თანატოლებთან ურთიერთობა, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და არაფორმალური აქტივობები. ამასთან, მოცემული პერიოდისთვის სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. **2.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება, ამგვარი ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას , რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **2.3.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, რამდენად ემყარება სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს, რამდენად პოზიტიური გარემოა შექმნილი საკლასო ოთახში - მოსწავლის საჭიროებები რამდენადაა გათვალისწინებული კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში, რამდენად მკაფიოა და ცხადი შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობა, რამდენად ადაპტირებულია სასწავლო რესურსები, რამდენად უწყობს ხელს სხვადასხვა აქტივობები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას; რამდენად მონაწილეობენ მასწავლებელები კურიკულუმის განვითარებაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობითა და შედეგების ანალიზით, რამდენად მონაწილეობენ სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო წერების ჩატრებასა და მონაცემთა კვლევაში, რომელიც დაადგენს, რამდენად აღწევს სკოლა ესგ -ით განსაზღვრულ შედეგებს, რამდენად უწყობს ხელს სკოლის დირექცია ესგ

პრინციპებზე დაფუძნებული კურიკულუმის განხორციელებას, ხარვეზების დადგენასა და მათ დაძლევას. **2.3.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრების ოქმები
 არისხის მართვის დოკუმენტი
ტარტეგიული გეგმა
რთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის პედაგოგები გეგმავენ შექმნან კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა მხარდამჭერი პაკეტი. ამასთან, საუბარში აღნიშნავენ, რომ პროცესში ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელემენტზე და მათ მიერ შექმნილი მექანიზმი უპასუხებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესება წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში, პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოებაზე და ა.შ.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მასწავლებლებთან ადმინისტრაციის წარმოადგენლებთან გასაუბრების თანახმად, კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერთდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. **2.4.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. საგნის მასწავლებლების თქმით, საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმის შედგენისას კი გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის

დანერგვისას წარმოიქმნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. 2.**4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
კურიკულუმის მეთოდოლოგია
საგნობრივი კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

-

8.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ანა კოკოჩაშვილი- ახვლედიანი;



სახელმწიფო ენის ექსპერტი: ციცინო გობაძე

ესთეტიკური საგნის ექსპერტი: ეკა მოსიაშვილი



საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ნიკოლოზ გურგენიძე

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი: მაკა ნატროშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: ირმა შალიკიანი

უცხოური ენების ექსპერტი: ინგა გოგალაძე

სპორტის ექსპერტი: გიორგი კოპლატაძე

ტექნოლოგიების ექსპერტი: დავით ხუციშვილი

მათემატიკის ექსპერტი: ნანი სალია